Keda Municipality
Digitally signed by Keda Municipality
Date: 2021.01.20 11:57:56 +04'00'

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი 2021.06/18

დაბა ქედა, **28 დეკემბერი, 2020 წელი**

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 13:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
კარლო თურმანიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
უშანგი დუმბაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ტარიელ მანველიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;
რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;
ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
ბაქარ ბარამიძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი;
ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;
თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/18 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

28 დეკემბერი, 2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	კარლო თურმანიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	ბაქარ ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	უშანგი დუმბაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ამირან ცინცაძე	საკრებულოს წევრი	
18	ბადრი შავლიძე	საკრებულოს წევრი	
19	ოთარ ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	ზურაბ თავდგირიძე	საკრებულოს წევრი	
21	თემურ ავალიანი	საკრებულოს წევრი	
22	რამინ ბერიძე	საკრებულოს წევრი	
23	გენადი არძენაძე	საკრებულოს წევრი	
24	გოჩა გათენაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №01-06/18 რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

3. „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 აგვისტოს №20 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

4. „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

5. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის
ქონების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის
უფროსი სპეციალისტი ქონების საკითხებში: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: სილოვან ბერიძე

6. „დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ" ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: მოქალაქე: ბესიკ ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დღის წესრიგთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მე-6 საკითხი მომხსენებლის თხოვნით განხილული იქნას მე-2 საკითხად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის შეცვლილი პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №01-06/18 რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

2. „დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ“ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის განხილვის თაობაზე.
მომხსენებელი: მოქალაქე: ბესიკ ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე
კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

4. „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 აგვისტოს №20 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

5. „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

6. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქონების საკითხებში: გულადი წითელაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: სილოვან ბერიძე

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ჯემალ ტაკიძემ სხდომის მონაწილეებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გეგმა-შესრულება. განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებული წლიური მოცულობა 11 466 800 ლარის ოდენობით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 110 415 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მდგომარეობით მიღებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 350000 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 2212294 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 1099151 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 6018314 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5773338 ლარი, ქონების გადასახადი 244975 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 187510 ლარი, მათ შორის: პროცენტები 14364 ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 76373 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 9697 ლარი, სანებართვო მოსაკრებლი 37238 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 12482 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 21326 ლარი, ნებაყოფილობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე 16041 ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან 55285 ლარი. 2020 წლის ფაქტიური შემოსულობები დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით შესრულებულ იქნა 87,04%-ით.

შემდეგ გააცნო ადგილობრივი ბიუჯეტი და ბალანსი, ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის შემოსულობების გეგმა 12 786 500 ლარით განისაზღვრა, რაც შეეხება შემოსავლებს 12 756 500 ლარი.

ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტის გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების 2021 წლის გეგმა განისაზღვრა 8 449 500 ლარით, მათ შორის, ქონების გადასახადი 300 000 ლარი, საიდანაც საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)

გადასახადი განისაზღვრა 270 000 ლარით, ფიზიკურ პირთა ქონებაზე 2 000 ლარით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 28 000 ლარით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2021 წლის გრანტების გეგმა განისაზღვრა 3 900 000 ლარით. მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 3 600 000 და სპეციალური ტრანსფერი აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 300 000 ლარი.

ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტის 2021 წლის სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 407 000 ლარით. მათ შორის: დეპოზიტებიდან ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები 30 000 ლარი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 239 200 ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 2 000 ლარი, შემოსავლები მომსახურეობის გაწევიდან 9 800, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 30 000 ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 1000 ლარი, ჯარიმები სანქციები და საურავები 55 000 ლარი, ხოლო შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 40 000 ლარი (შემოსული დოკუმენტი №109/04 10.12.2020 წ. შიდა დოკუმენტი № 214-04 25.12.2020 წელი).

მომხსენებელმა, განმარტა, რომ საკითხის წარმოდგენის შემდეგ მიღებული საკასო ოპერაციების შედეგად გამოიკვეთა ცვლილებები, რომელიც მიზანშეწონილია შეტანილ იქნას პროექტში:

ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი				
	პროგრამული კოდი	**დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა**	**თანხა +/-**	**შენიშვნა**
	-	ნაშთი	20000	ნაშთის კორექტირება
	-	ოპერაციის შემდგომი მკურნალობისთვის მედიკამენტების შეძენა	10000	
	02 01 02	სოფელ აქუცის ქვედა უბანში მისასვლელ გზაზე მდინარე აჭარისწყალზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა	203023	აჭარის მთავრობის განკარგულება
ჯამი			**233023**	
	პროგრამული კოდი	**ასიგნებების დასახელება**	**თანხა +/-**	**შენიშვნა**
	02 03 01 02	დაბა ქედაში მ. კოსტავას ქუჩა #3 მდებარე ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია (მუზეუმის განსათავსებლად)	203023	აჭარის მთავრობის განკარგულება
	06 02 12	საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	20000	ახალი პროგრამა

	06 02 05	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა	10000	ზუნდაგის ბაგა ბაღისათვის ინვენტარის შეძენა; საქონელი და მომსახურება13000 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა 7000 ლარი
ასიგნებების ჯამი			**233,023**	**X**
ს ხ ვ ა ო ბ ა			**0**	**X**

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მერს საკრებულოსთან ეფექტური თანამშრომლობისთვის - ჩვენ გვაქვს 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც მაქსიმალურად არის ასახული მოსახლეობის საჭიროებები და შეძლებისდაგვარად პასუხობს არსებულ გამოწვევებს. ქედის მერიამ მაქსიმალურად გაითვალისწინა საკრებულოს შენიშვნები და ბიუჯეტის ოპტიმალური ვარიანტი წარმოადგინა.

შუქრი თურმანიძემ აღნიშნა, რომ ძირითად პოგრამებზე, როგორიცაა საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა, შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია, სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენა, უნდა განხორციელდეს აპრილის თვის ჩათვლით, რადგანაც მოსახლეობამ დროულდ მიიღოს და შეძლოს გამოყენება აღნიშნული ინფრასტრუქტურისა და არა ნოემბერ - დეკემბერში, ხოლო სოფლის პროგრამაში არსებული პროექტების განხორციელების პროცესში ტენდერიდან მიღებული ეკონომიის სრულად გამოყენება უნდა ხდებოდეს. მერის პირველმა მოადგილემ, როლანდ ბერიძემ განმარტა, რომ 2020 წელს, არჩევნების გამო გადაიდო მათი გადაცემა მოსახლეობისათვის და 2021 წელს მიეწოდება II კვარტალში, ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ სოფლის პროგრამით დამტკიცებული ყველა პროექტი შესრულებულდება სრულყოფილად.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალური მომსახურეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რომელიც ასახულია 2021 წლის ბიუჯეტის შემდეგ პროგრამებში:

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა;

ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება;

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის;

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება;

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება; 37

ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა; • სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა;

საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა;

ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა;

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა;

მარტოხელა პენსიონერებისთვის სასურსათო პროდუქტის შეძენა;

აღნიშნულ საკითხზე სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №28).

2. მოისმინეს: „დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ“ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელმა მოქალაქე ბესიკ ბერიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ“ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის განხილვის თაობაზე მოხსენება და აღნიშნა რომ ვახტანგ პაპუნიძე დაიბადა 1930 წელს ქედის მუნიციპალიტეტში, უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიულ ფაკულტეტზე. 1969 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერებს შორის ყველაზე ადრე 39 წლის ასაკში მიენიჭა პროფესორის წოდება. ის იყო აგრარიკოსეკონომისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ვახტანგ პაპუნიძე სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა სამეცნიერო და სახელმწიფო დაწესებულებებში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში აგრო-ეკონომიკური მეცნიერებისა და აჭარის რეგიონის განვითარებაში. ვახტანგ პაპუნიძე გარდაიცვალა 1987 წელს, დაკრძალულია ბათუმში, ფერიის პანთეონში (შემოსული დოკუმენტი: №97/04; 15.10.2020 წელი; შიდა დოკუმენტი №204-04 09.12.2020 წ.).

თანამომხსენებლმა ოთარ ხარაძემ საკრებულოს წარუდგინა „დაბის ერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ“ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის განხილვის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 8 დეკემბერს ჩატარდა კომისიის №5 სხდომა, რომელმაც იმსჯელა დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის შესწავლის შესახებ და მიზანშეწონილად მიიაჩნი დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის დაკმაყოფილება საკრებულოს სხდომაზე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის №25 დადგენილების შესაბამისად (შიდა დოკუმენტი 2013-04; 25.12.2020 წელი.).

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ აღნიშნა, რომ ვახტანგ პაპუნიძე იყო ერთერთი გამოჩენილი პიროვნება არა მარტო ქედაში, არამედ აჭარაში და მთელი საქართველოს მაშტაბით, მას იცნობდნენ სამეცნიერო წრეებში და მის ნაშრომებს დღემდე იყენებენ სხვადასხვა ინსტიტუტები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №48).

3. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა სულიკო ჩხიკვაძემ წარმოადგინა „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და აღნიშნა წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანა **კერძოდ:**

1. დადგენილების „მე-2“ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2.

ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა არ გავრცელდეს და მშენებლობის ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან განთავისუფლდეს სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტების მშენებლობა, ხოლო თუ მშენებლობის ნებართვის მაძიებელია მუნიციპალიტეტი თავის ტერიტორიაზე ან „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოსაკრებელი არ გადაიხდება.“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. იგი განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის გაცემის (მიღების) მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელი

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.“ (შემოსული დოკუმენტი: №110/04, 11.12.2020 წელი;).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილების პროექტი.
(დადგენილება № 29).

4. მოისმინეს: „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 აგვისტოს №20 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა სულიკო ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს კანონმდებლობასთან ქედის მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტთა შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 აგვისტოს №20 დადგენილება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2020 წლის 18 სექტემბრის №GOV8 20 00040178 დასკვნის საფუძველზე ცხადდება ძალადაკარგულად და აღნიშნული საკითხი ჩამოყალიბდება საკრებულოს ინდივიდუალური-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 აგვისტოს №20 ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

„ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 აგვისტოს №20 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ ახლებურად და კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული საკითხი ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით მოწესრიგდება.

ძირითადი არსი, რაც საფუძვლად უდევს ამ ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას არის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი დასკვნა, რომლის მიხედვითაც ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20120 წლის 27 აგვისტოს №20 დადგენილების შინაარსი წარმოადგენს ინდივიდუალური-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით დასარეგულირებელ საკითხს.

აღნიშნულ საკითხზე შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №30).

5. მოისმინეს: „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა სულიკო ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი

ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შემოსული დოკუმენტი: №107/04, 10.12.2020 წელი;).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №49).

6. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა გულადი წითელაძემ წარმოადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს დამტკიცებულ საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებით დამტკიცებულია მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ნუსხა, სადაც შეტანილია 10 ერთეული ქონება. ამათგან ორი ერთეული ქონება გაყიდულია პირობიანი ელექტრონული აუქციონის გზით და ამოსაღებია საპრივატიზაციო ნუსხიდან, კერძოდ: (№9 და №10) სოფელ ძენწმანში მდებარე 1164.0 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.03.31.333) და სოფელ ქვედა მახუნცეთში (აწჰესი) მდებარე 8966.0 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.01.31.776).

დამტკიცებულ საპრივატიზაციო ნუსხაში დამატებით შესატანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8 (რვა) ერთეული ქონება, კერძოდ:

1. სოფელ ქვედა მახუნცეთში (აწჰესის ტერიტორია) მდებარე არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი 956 კვ. მეტრი (ს/კ 21.01.37.794). რომელიც ექსპერტ შემფასებლის მიერ შეფასებულია 9560 ლარად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აუქციონის გამართვას მოითხოვს შპს „ივერკო“ (განცხ. №-5447/03 15.12.2020წ), ვინაიდან ამ მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ ქედის მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ პირობიან ელექტრონულ აუქციონში გაიმარჯვა ზემოთ აღნიშნულმა ორგანიზაციამ, რომელსაც დაგეგმილი აქვს უკვე შეძენილ 8966.0 კვ. მეტრ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.01.31.776) ააშენოს კაფე-რესტორანი პანორამული ტერასით, უნდა მოაწყოს ეთნოგრაფიული კუთხე, ე.წ. ზიპლაინი, შემინული ლიფტი და სხვა ტურისტული მომსახურების ობიექტები. ერთიანი ტურისტული კომპლექსის მშენებლობისათვის, რომელიც ითვალისწინებს საბავშვო და სახალხოსადღესასწაულო ღონისძიებებისათვის შესაბამისი ტერიტორიის მოწყობას, შპს „ივერკო“ ითხოვს დამატებით 956 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებას. მუნიციპალიტეტის მზარდი ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე, ზემოთ ჩამოთვლილი პროექტების განხორციელებისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ქონება (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 956 კვ. მეტრი ს/კ 21.01.37.794) შეტანილი იქნას საპრივატიზაციო ნუსხაში.

2. სოფელ მერისში მდებარე 1034,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.01.35.465) და მასზე განლაგებული 459,5 კვ. მეტრი შენობანაგებობა (ყოფილი ბაგა-

ბაღის შენობა). აღნიშნული შენობა-ნაგებობა ამორტიზებულია და ექსპერტ-შემფასებლის მიერ მომზადებული დასკვნის მიხედვით, მას საბაზრო ღირებულება არ გააჩნია და ექვემდებარება დაუყოვნებლივ დემონტაჟს. ხოლო, არსებული 1034,0 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 4000 (ოთხიათას) ლარად. ვინაიდან აღნიშნული შენობის დემონტაჟისთვის საჭიროა დამატებითი ფინანსების გამოყოფა ბიუჯეტიდან (დაახლოებით 50 000 ლარი), ამასთან, ტერიტორია სამომავლოდ მუნიციპალიტეტისათვის საჭიროებას არ წარმოადგენ, გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მიწის ნაკვეთი გასხვისებული იქნას ელექტრონულ აუქციონის საშუალებით, ამორტიზებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პირობით.

3. სოფელ მერისის ყოფილი ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე 4 (ოთხი) ერთეული არასაცხოვრებელი ფართი, კერძოდ:

ა) 24,51 კვ.მ. საკადასტრო კოდი 21.05.33.001.01.503. ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 1 250 ლარად.

ბ) 18,74 კვ.მ. საკადასტრო კოდი 21.05.33.001.01.504. ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 900 ლარად.

გ) 11,84 კვ.მ. საკადასტრო კოდი 21.05.33.001.01.505. ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 600 ლარად.

დ) 31,16 კვ.მ. საკადასტრო კოდი 21.05.33.001.01.506. ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 1 550 ლარად.

ზემოთ ჩამოთვლილი ფართები წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის მხრიდან არ არის გამოყენებული, ამიტომ ხშირია მისი თვითნებურად დაკავების ფაქტები. ვინაიდან, მერია სამომავლოდაც არ გეგმავს აღნიშნული ფართების რაიმე დანიშნულებით გამოყენებას, მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთ მითითებული ოთხი ერთეული არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართი, შეტანილი იქნას საპრივატიზაციო ნუსხაში და მოხდეს მისი გასხვისება ელექტრონული აუქციონის საშუალებით.

4. დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძის №10-ში მდებარე 88,6 კვ. მეტრი (ს/კ 21.03.33.016.01.518) არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართი (სარდაფი), ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 7088 ლარად.

5. დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძის №10-ში მდებარე 78,68 კვ. მეტრი (ს/კ 21.03.33.016.01.519) არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართი (სარდაფი), ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 6240 ლარად.

აღნიშნული არასაცხოვრებელი ფართები წლების განმავლობაში მიტოვებულია და დარჩენილია უფუნქციოდ. მისი გამოყენება შეიძლება კომერციული თვალსაზრისით, კერძოდ: შესაძლებელია მოეწყოს საზოგადოებრივი კვების ობიექტები, შერეული ტიპის მაღაზიები ან ღვინის მარნები, რაც დამატებით შემოსავალს მოუტანს როგორც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, ასევე, ადგილობრივ მცხოვრებლებს, შემდგომში მასში დასაქმების პერსპექტივით. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია აღნიშნული ფართები შეტანილი იქნას საპრივატიზაციო ნუსხაში და გამოტანილი იქნას პირობიან ელექტრონულ აუქციონზე (შემოსული დოკუმენტი: №112/04; 22.12.2020 წელი;).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა,რომ დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძის №10-ში მდებარე ორი ერთეული ქონება (ს/კ 21.03.33.016.01.502 და ს/კ 21.03.33.016.01.503) მოითხოვს დამატებით შესწავლას საკრებულოს შესაბამისი კომისიის მიერ, ამიტომ ზემოთხსენებული ორი ერთეული ქონება №10 და №11 მიზანშეწონილია საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი იქნას შემოდგომი პერიოდისათვის.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული ქონება შეტანილი იყო საპრივატიზაციო ნუსხაში, თუმცა ფართების ნახაზის დაზუსტების მიზნით მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში ამოღებულ იქნა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს შენიშვნის გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №50).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ 13:00 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შუქრი თურმანიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ჰამიდა ზოიძე